ხელშეკრულება №03-05/02

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბათუმი 2024წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატო გოგუაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი ნათება“, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორი თემური არდოტელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნათურა Ecohome LED Bulb 15W 1450 lm E27 865 RCA PHILIPS 8719514382572 /E207-D211-D207/S102/, სანათი HFd0185A-1 BLUE AS SAMPLE PENDANT LAMP /J101/S622/, სანათი HFD0185-1 YELOW AS SAMPLE PENDANT LAMP /P130-702/S309/, სანათი MD6019-1B E27 Pendant Lamp /J105/S623 (CPV:31524100-216.00ლარი; CPV: 31531000-2040.00ლარი) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2256.00(ორიათასორას ორმოცდათექვსმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით, სასაქონლო ზედნადებით (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის დირექტორი ნატო გოგუაძე).

3.2 საქონლის ექპლუატაციაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია ნივთი შეცვალოს ან გააკეთოს 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის, ან/და სასქონლო ზედნადების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე - ქალაქი ბათუმი, ჟ.შარტავას N7.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. გარანტია

6.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა 2(ორი) წელი.

6.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მიერ ,,ახალი ნათების“ სერვის ცენტრში (ქალაქი ბათუმი, ქალაქი ბათუმი, ჟ.შარტავას N7) ნაკლის მქონე ნივთის წარმოდგენიდან გონივრულ ვადაში უსასყიდლოდ (თავისი ხარჯით) გამოასწოროს მიწოდებული საქონლის ნაკლი ან გამოცვალოს უხარისხო, ან წუნდებული საქონელი უნაკლოთი.

ნივთზე საგარანტიო მომსახურეობა არ ვრცელდება მისი ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, ასევე არასათანადო მონტაჟით გამოწვეული დაზიანების ან/და მისთვის მიღებული საექსპლუატაციო პირობების დარღვევით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში (მათ შორის აღნიშნული ასევე გულისხმობს რომ ნივთი ჩართულ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს დღე-ღამის განმავლობაში არაუმეტეს 14-16 საათისა).

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ

წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლა ს/კ 245428997 მის: ქ. ბათუმი, ინასარიძის N11 ტელ:555 57 92 47 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა **ხაზინის ერთიანი ანგარიში** **დირექტორი** **ნატო გოგუაძე** _____	შპს „ახალი ნათება“ ს/კ 202066156 მის.: ბათუმი, ჯ.შარტავას N7 ტელ.: +99532 2202424; 593710271 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE74PC0053600100013179 **გენერალური დირექტორი** **თემური არდოტელი** _____ (ხელმოწერა) New Light LLC Digitally signed by New Light LLC Date: 2024.01.17 15:11:32 +04'00'

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	CPV კოდი
1	ნათურა Ecohome LED Bulb 15W 1450 lm E27 865 RCA PHILIPS 8719514382572 /E207-D211-D207/S102/	300	6,80	2040,00	31531000
2	სანათი HFd0185A-1 BLUE AS SAMPLE PENDANT LAMP /J101/S622	1	47,20	47,20	31524100
3	სანათი HFD0185-1 YELOW AS SAMPLE PENDANT LAMP /P130-702/S309/,	1	48,00	48,00	31524100
4	სანათი MD6019-1B E27 Pendant Lamp /J105/S623	1	120,80	120,80	31524100
	სულ ჯამი			2256,00	

1. შესყიდვის ობიექტია:

სსიპ ქალაქ ბათუმის N14 საჯარო
სკოლის დირექტორი /ნატო გოგუაძე/

შპს „ახალი ნათება“- /თემური არდოტელი/
გენერალური დირექტორი